იურიდიული ფაკულტეტი 2017-2018 წლის გაზაფხულის სემესტრის სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენციის გამარჯვებულები გამოვლინდნენ

2018 წლის 18, 19, 21, 22 და 24 ივნისს, იურიდიულ ფაკულტეტზე გაიმართა 2017-2018 წლის გაზაფხულის სემესტრის სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენციის სექციების მუშაობა.

კონფერენციაში მონაწილეობას იღებდნენ იურიდიული ფაკულტეტის ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის საფეხურის სტუდენტები. სტუდენტთა მოხსენებებს აფასებდა დარგობრივი კომისია, რომელიც დაკომპლექტებული იყო ფაკულტეტის აკადემიური და მოწვეული პერსონალით.

ჟიურის გადაწყვეტილებით, სექციების მიხედვით გამარჯვება მოიპოვეს შემდეგმა სტუდენტებმა:

I სექცია - კერძო სამართლის მიმართულება:

I ადგილი - **გიორგი ქანთარია** (ბაკალავრ. VI სემესტრი), **შინაარსის კონტროლის მექანიზმები, კონტრაჰირების იძულებისას** (მეცნ/ხელმძღვანელი: ასისტ. სერგი ჯორბენაძე)

II ადგილი - **ილია კურდღელაშვილი** (ბაკალავრ. IV სემესტრი), **კეთილსინდისიერი და მართლზომიერი მფლობელის გამიჯვნის თავისებურებანი** (მეცნ/ხელმძღვანელი: ასოც. პროფ. თამარ ზარანდია)

III ადგილი - **სალომე აბჟანდაძე** (ბაკალავრ. VII სემესტრი), **არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების თავისებურებები საქართველოს კანონმდებლობასა და სასამართლო პრაქტიკაში** (მეცნ/ხელმძღვანელი: მოწვეული ლექტორი მიხეილ ბიჭია)

II სექცია - სისხლის სამართლის მიმართულება:

I ადგილი - **ირაკლი ბუთურიშვილი, ნუგზარ გრიგალაშვილი** (ბაკალავრ. VI სემესტრი), **ქურდობა, ძარცვა და ყაჩაღობა, როგორც საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაული (გამიჯვნა და პრობლემური საკითხები)** (მეცნ/ხელმძღვანელი: ასისტ. პროფ. ლევან ხარანაული)

II ადგილი:

თეიმურაზ მალანია (ბაკალავრ. IV სემესტრი), **მსჯავრდებულის რესოციალიზაციის პრიმატი** (მეცნ/ხელმძღვანელი: ასისტ. პროფ. თემურ ცქიტიშვილი)

დავით ქირია, გიორგი ქირია (ბაკალავრ. VI სემესტრი), **კრიპტოვალუტა - ზღვარი ეკონომიკურ განვითარებასა და უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის (ფულის გათეთრების) იდეალურ შესაძლებლობასთან** (მეცნ/ხელმძღვანელი: ასისტ. პროფ. თემურ ცქიტიშვილი)

III ადგილი - **გიორგი შალამბერიძე, ნინო ბარამია** (ბაკალავრ. IV სემესტრი), **ნარკოტიკული საშუალების მოხმარების დეკრიმინალიზაციის საკითხისათვის** (მეცნ/ხელმძღვანელი: ასისტ. პროფ. თემურ ცქიტიშვილი)

III სექცია - საჯარო სამართლის მიმართულება:

<u>ქვესექცია - კონსტიტუციური სამართალი:</u>

I ადგილი - **ნანა შამათავა, გიორგი მელიქიძე** (ბაკალავრ. VI სემესტრი), **იუსტიციის უმაღლესი საბჭოსა და მოსამართლეთა განწესების აქტუალური საკითხები** (მეცნ/ხელმძღვანელი: პროფ. ნანა ჭიღლაძე)

II ადგილი - **სალომე სვანიძე, ანი ლაბაძე** (ბაკალავრ. II სემესტრი), **ვეტოს ინსტიტუტის ზოგადი მიმოხილვა და მისი თავისებურებანი საქართველოში** (მეცნ/ხელმძღვანელი: ასისტ. პროფ. ირაკლი კახიძე)

III ადგილი - **ნანა თოფურია, თეონა ზაქარეიშვილი** (ბაკალავრ. IV სემესტრი), **საქართველოს პრეზიდენტის ვეტო და მისი მოწესრიგების თავისებურებანი** (მეცნ/ხელმძღვანელი: ასისტ. ზურაბ მაჭარაძე)

<u>ქვესექცია - ადმინისტრაციული სამართალი:</u>

<u>ბაკალავრიატი:</u>

I ადგილი - **თამარ შავგულიძე, მარიამ კუტალაძე** (ბაკალავრ. IV, VI სემესტრი), **დისკრეციული უფლებამოსილების ნულოვანი რედუქციის მნიშვნელობა პოლიციის პრევენციულ საქმიანობაში** (მეცნ/ხელმძღვანელი: პროფ. პაატა ტურავა)

<u>მაგისტრატურა:</u>

II ადგილი - **დავით გვენეტაძე** (მაგისტრ. IV სემესტრი), **მომხმარებელთა კვების უსაფრთხოების საკითხისათვის (შედარებით-სამართლებრივი ანალიზი)** (მეცნ/ხელმძღვანელი: პროფ. მაია კოპალეიშვილი)

IV სექცია - საერთაშორისო სამართლის მიმართულება:

I ადგილი - **ანა თაბაგარი, გია მარკოიძე** (ბაკალავრ. VI სემესტრი), **მედია, ტერორიზმის პროპაგანდა და ძალადობის წაქეზება** (რეკომენდატორი: პროფ. ირინე ქურდაძე)

II ადგილი - **მარიამ გაბუნია, მარიამ თინაშვილი, მარიამ საკანდელიძე** (ბაკალავრ. VI სემესტრი), **ხელოვნურ კუნძულებზე მოქმედი იურისდიქციის საკითხი და პოლიტიკური სტატუსი საერთაშორისო სამართალში** (რეკომენდატორი: ასოც. პროფ. ეკა სირაძე)

III ადგილი:

თამარ კაპანაძე, ვახტანგ ნოღაიდელი (ბაკალავრ. VI სემესტრი), **ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლის და საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის ურთიერთმიმართების აქტუალური საკითხები** (მეცნ/ხელმძღვანელი: სამართლის დოქტორი მარიამ ჯიქია)

ელენე ბოხოჩაძე, ანანო ფერაძე, მარიამ ურიგაშვილი (ბაკალავრ. VI სემესტრი), **რწმენისა და რელიგიის უპირატესი თავისუფლება ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალში** (მეცნ/ხელმძღვანელი: ასისტ. საბა ფიფია)

V სექცია - სამართლის ისტორიისა და სამართლის მეთოდების მიმართულებები:

<u>ქვესექცია - სამართლის ისტორია:</u>

II ადგილი - **თამარ შავგულიძე** (ბაკალავრ. IV სემესტრი), **სამოსთან დაკავშირებული კანონიკურ-სამართლებრივი რეგულაციები და მისი განმარტების პრობლემები** (მეცნ/ხელმძღვანელი: ასისტ. პროფ. სულხან ონიანი)

III ადგილი:

მარიამ თათაშვილი, ნანუკა დევიძე (ბაკალავრ. VI, VII სემესტრი), **მექრთამეობისთვის გათვალისწინებული სასჯელები ძველ ქართულ სამართალში** (მეცნ/ხელმძღვანელი: ასისტ. პროფ. სულხან ონიანი)

III ადგილი - **მარიამ რუხაია, მანო გიორგაძე** (ბაკალავრ. VI სემესტრი), **სახელმწიფო და ეკლესია 1921 წლის კონსტიტუციის ჭრილში** (მეცნ/ხელმძღვანელი: ასისტ. ანა წიგნაძე)

<u>ქვესექცია - სამართლის მეთოდები:</u>

III ადგილი - **მარიამ ლიპარტელიანი, მარიამ ახვლედიანი** (ბაკალავრ. IV სემესტრი), **მოსამართლე - სამართალშემფარდებელი იურისტი** (მეცნ/ხელმძღვანელი: ასოც. პროფ. ლელა ჯანაშვილი)

კონფერენციაში გამარჯვებული სტუდენტების დაჯილდოება მოხდება სიგელებით თითოეული საგანმანათლებლო საფეხურისა (ბაკალავრიატი, მაგისტრატურა) და დაკავებული I, II, III ადგილების შესაბამისად. ხოლო, დანარჩენი მონაწილეები შეძლებენ მონაწილეობის დამადასტურებელი ცნობის მიღებას.

იურიდიული ფაკულტეტის ადმინისტრაცია ულოცავს დასახელებულ სტუდენტებს კონფერენციაში გამარჯვებას და უსურვებს მომავალ წარმატებას!